ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 120

"17" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა №11ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: № 01.19.18.001.010.) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - თბილისის განვითრების ფონდისთვის (ს/კ: 404384974) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის №14.18.393 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა №11ა-ში მდებარე 16010 კვმ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3, №4, №5 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: №01.19.18.001.010.) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდისთვის (ს/კ: 404384974) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ზემოხსენებული განკარგულების დანართით განსაზღვრული პირობებით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი